



INTERNATIONAL REPUBLICAN INSTITUTE
Advancing Democracy Worldwide

დაუყოვნებლივ გავრცელებისთვის
29 სექტემბერი, 2021

საკონტაქტო პირები

NDI საქართველო: გვანცა ნადირაძე
gnadiradze@ndi.org, +995 593 78 83 30

IRI საქართველო: ანა მიქაძე
amikadze@iri.org, +995 574 808 806

NDI ვაშინგტონი: კლეიტონ მაკკლესკი
media@ndi.org

IRI ვაშინგტონი: ოსტინ ეიკერსი
media@iri.org

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) ექსპერტები პოლიტიკურ პარტიებს 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსა და მის თანმდევ პოლიტიკურ პროცესებში კეთილსინდისიერი მონაწილეობისკენ მოუწოდებენ

ვაშინგტონი – საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტისა (IRI) და ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ექსპერტების გუნდები, 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინ, თბილისში იმყოფებიან. ისინი ყველა პოლიტიკურ პარტიას როგორც საარჩევნო, ასევე არჩევნების შემდგომ პროცესებში აქტიური და კეთილსინდისიერი მონაწილეობისა და დემოკრატიული პრინციპების დაცვისკენ მოუწოდებენ. იმისთვის, რომ საქართველომ შეძლოს რეგიონში დემოკრატიული ქვეყნის სტატუსის ლეგიტიმურად შენარჩუნება, აუცილებელია, მხარეები ჩაერთონ მოსახლეობის ინტერესებზე მორგებულ კონსტრუქციულ დიალოგსა და ჯანსაღ კონკურენციაში.

NDI-ის და IRI-ის ექსპერტების გუნდები მთავრობის წარმომადგენლებსა და პოლიტიკურ ლიდერებს შეხვედებიან, რათა საარჩევნო და პოლიტიკურ პროცესებში დემოკრატიულ პრინციპებზე დამყარებული ჩართულობის მიმართ საკუთარი მხარდაჭერა გამოხატონ. გარდა ამისა, ექსპერტები შეხვედებიან ადგილობრივ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, რათა არჩევნების სამართლიანად ჩატარების პროცესში მათ როლს ხაზი გაუსვან. შეხვედრები ასევე გაიმართება საერთაშორისო

დამკვირვებლებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან იმის განსახილველად, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს საარჩევნო პერიოდში მიმდინარე პროცესებმა საქართველოს სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე.

IRI-ის და NDI-ის ექსპერტთა გუნდები არჩევნებამდე ან მის შემდგომ ოფიციალურ განცხადებებს არ გააკეთებენ. აღნიშნული ორგანიზაციების გრძელვადიანი ანალიტიკოსები უზრუნველყოფენ ექსპერტების ინფორმირებულობას ისეთი საკვანძო საკითხების შესახებ, როგორცაა პარტიების კამპანიების მიმდინარეობა, საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა და არჩევნების დღის ჩათვლით საჩივრების და საარჩევნო დავების განხილვის პროცესები. NDI და IRI საარჩევნო პროცესების შეფასების ანგარიშებს არჩევნიდან რამდენიმე კვირის შემდეგ გამოაქვეყნებენ. ჩვენ დიდ მადლობას ვუხდით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ორივე ინსტიტუტის ამ და სხვა საარჩევნო პროგრამების ფინანსური მხარდაჭერისთვის არჩევნებისა და პოლიტიკური პროცესების გაძლიერების კონსორციუმის (CEPPS) ფარგლებში.

ექსპერტთა გუნდის წევრები არიან სკოტ მასტიკი, IRI-ის პროგრამების ვიცე პრეზიდენტი; სტივენ ნიქსი, IRI-ის ევრაზიის რეგიონული დირექტორი; ნიკოლ როუზელი, NDI-ის ვიცე პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი; ლორენ ვან მეტრი, NDI-ის უფროსი მრჩეველი მშვიდობის და უსაფრთხოების საკითხებში; პეტ მერლო, NDI-ის საარჩევნო პროგრამის დირექტორი; ალან გილამი, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი; ჯონ დიპირო, IRI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი.

###

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი, არასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხეში პარტნიორობთან ერთად მუშაობს, რომ გააძლიეროს და დაიცვას დემოკრატიული ინსტიტუტები, პროცესები, ნორმები და ღირებულებები, რათა ყველასთვის ცხოვრების უკეთესი ხარისხი უზრუნველყოს. NDI მსოფლიოს ხედავს, როგორც ადგილს, სადაც დემოკრატია და თავისუფლება იმარჯვებს და ყველას ღირსება დაცულია. ორგანიზაციის შესახებ დამატებით ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ვებ-გვერდზე -

www.ndi.org

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი არის არაკომერციული, უპარტიო საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს თავისუფლებისა და დემოკრატიის განვითარებას მსოფლიოში. IRI მუშაობს პოლიტიკური პარტიების გაძლიერებისთვის, რათა ისინი კონკრეტულ

საკითხებზე ორიენტირებულნი და ამომრჩეველთან ანგარიშვალდებულნი გახდნენ. ასევე, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მმართველობის გაძლიერებისთვის და პოლიტიკურ პროცესებში ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების, მათ შორის, ქალებისა და ახალგაზრდების როლის გაზრდისთვის. ორგანიზაცია მოქალაქეებს ეხმარება, მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო მართვაში და ჩაერთონ ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში. ორგანიზაციის შესახებ დამატებით

ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ვებ-გვერდზე - www.iri.org